დანართი N1

მოხალისეობის კომპონენტი

- **ფესტივალის შესახებ**

ფესტივალის აღნიშნული მიმართულება მოიცავს უნივერსიტეტებს შორის კონკურსს მოხალისეობის თემაზე და მიზნად ისახავს სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის დანერგვას, მოხალისეობრივი თემის ადვოკატირებას, აქტიური მოქალაქეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობასა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას.

ფესტივალი ქმნის პლატფორმას საუკეთესო მოხალისეობრივი პრაქტიკისა და საზოგადოებრივი აქტივობების ინოვაციური მიდგომების გაზიარებისთვის, რომელიც არა მხოლოდ აღიარებს ახალგაზრდა მოხალისეების გამორჩეულ ძალისხმევას, არამედ ხელს უწყობს ჯანსაღ კონკურენციას უნივერსიტეტებს შორის მოხალისეობის მნიშვნელოვან თემებზე.

- **ვინ მონაწილეობს ფესტივალში?**

ფესტივალში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მასშტაბით ავტორიზებულ ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. უნივერსიტეტების მონაწილეობა ახალგაზრდულ ფესტივალში მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს შორის კავშირების ჩამოყალიბებისთვის, მრავალფეროვნების ხელშეწყობისთვის და ახალგაზრდებისთვის პოზიტიური და ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად.

- **რატომ უნდა მივიღო მონაწილეობა?**

ფესტივალში მონაწილეობა არის თითოეული უნივერსიტეტისთვის უდიდესი გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების პიროვნულ ზრდას, უნარების განვითარებას და პოზიტიური ღირებულებებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაციას.

სტუდენტებისთვის მოხალისეობა არის პირადი, პროფესიული და სოციალური განვითარების შესაძლებლობა, მოხალისეობისას ახალგაზრდები ივითარებენ ისეთ უნარებს როგორიცაა კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, პრობლემების გადაჭრა და ლიდერობა, თანამოაზრე ახალგაზრდებთან კომუნიკაცია და ერთობლივად საზოგადოებისთვის საჭირო აქტუალურ თემებზე მუშაობა. მოხალისეობა ეხმარება ახალგაზრდას განივითაროს პროფესიული უნარები და კომპეტენციები, რაც თავის მხრივ გაზრდის მათ შრომისუნარიანობას, გააძლიერებს სოლიდარობის გრძნობას, განავითარებს მათ სოციალურ უნარებს, გაამარტივებს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას და ხელს შეუწყობს აქტიურ მოქალაქეობას.

ფესტივალის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ ფართო საზოგადოებას შესთავაზონ ისეთი სოციალური გამოწვევების გადაჭრის გზები, რომელიც უშუალოდ მათ და საზოგადოებას უკავშირდებათ და რომლებსაც ისინი ყოველდღიურად აწყდებიან.

საჭიროებების უკეთ წარმოსაჩენად და ცნობიერების ასამაღლებლად საზოგადოებაში მათ ექნებათ შესაძლებლობა მოიფიქრონ, დაგეგმონ და განახორციელონ სოციალური კანპანია, რომელსაც უშუალო მენტორინგს საორგანიზაციო ჯგუფის მიერ მომზადებული გუნდი გაუწევს.

კომპონენტის განხორციელების ეტაპები:

1. **11–30 მარტი - ინფორმაციის გავრცელება ფესტივალის შესახებ** - მოიცავს შეხვედრებს თბილისსა და რეგიონებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტურ თვითმმართველობებთან, დაინტერესებულ სტუდენტებთან. ასევე, სატელევიზიო და სოციალურ ქსელებში ფესტივალის მოხალისეობრივი და სხვა კომპონენტების პოპულარიზაციას;

2. **15-25 მარტი - ფესტივალის საორგანიზაციო გუნდის შერჩევა** - მოხალისეობრივი პროექტების მენტორები, ფოტო მოხალისეები, ფესტივალის ახალგაზრდა ელჩები (Youth Ambassadors), რომლებიც აქტიურად გაუწევენ პოპულარიზაციას ახალგაზრდულ ფესტივალს, როგორც სოციალურ ქსელში, ასევე სტუდენტებში;

3. **25 მარტი - 1 აპრილი - ფესტივალის საორგანიზაციო გუნდის გადამზადება (ტრენინგები).**

4. **1-10 აპრილი - ჟიურის დაკომპლექტება და შეფასების კრიტერიუმების შემუშავება** - ჟიური დაკომპლექტდება მოხალისეობრივი თემის ექსპერტებით, რომლებიც წარმოადგენენ როგორც ადგილობრივ მოხალისეობრივ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს - ასევე საერთშორისოს;

5. **1-30 აპრილი - გუნდების რეგისტრაცია და მოხალისეობრივი იდეების შემუშავება სტუდენტების მიერ, მოხალისეობრივი კამპანიების დაგეგმვა ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის მხარდაჭერით;**

6. **30 აპრილი - კონკურში მონაწილე უნივერსიტეტების იდენტიფიცირება და განსახორციელებელი პროექტების თარიღების მიწოდება ჟიურისთვის;**

7. **1 მაისი-5 ივნისი - მოხალისეობრივი პროექტების განხორციელება თბილისსა და საქართველოს რეგიონებში;**

8. **6-8 ივნისი - ჟიურის შეხვედრა და გამარჯვებული უნივერსიტეტის გამოვლენა;**

9. **10 ივნისი - ფესტივალის დასკვნით ღონისძიებაზე გამარჯვებული უნივერსიტეტის გამოცხადება და დაჯილდოება.**

წესები!

- ✓ **თითოეულმა უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს მხოლოდ ერთი საკონკურსო პროექტი, რომელიც შეფასდება ჟიურის მიერ, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიუტერიუმებით!**
- ✓ **იმარჯვებს უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი გუნდი, რომელთა წევრების რაოდენობა (პროექტის იდეის ავტორები და ძირითადი განმახორციელებელი გუნდი) არ უნდა აღემატებოდეს 10 ადამიანს.**
- ✓ **რეგისტრაციისას გუნდმა საორგანიზაციო კომიტეტს უნდა გადასცეს წინასწარ განსაზღვრული პროექტის გუნდის სია.**

შეფასების კრიტერიუმები: ინოვაციურობა, მასშტაბურობა, თემატიკის აქტუალურობა, პარტნიორების (სპონსორები) ჩართულობა.

საკონტაქტო პირი: ეკატერინე ცვარიანი - ტელ.: 599 28 25 17